

12/02/2024



MES 8 24 0000145746

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 30. 01. 2024

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 19:28 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე** ;
2. **ნათია ზედგინძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი**;
4. **ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
7. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
8. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

9. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
11. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
12. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
15. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
16. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
17. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
18. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
19. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	სტატუსი
ანა ჯუღელი	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი	საკითხი

		საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება		
1	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I და VIII
2	მერაბ თოფურია		დეკანი	
3	კახაბერ თავზარაშვილი		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
4	ირაკლი ნოსელიძე		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
6	ნინო ღაღანიძე	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II-IV
7	თამარ ხუნდაძე		რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანი	
8	ანა კლდიაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
9	ლელა ფირალიშვილი		კულტურის კვლევების" სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	
10	ნანა ქუთათელაძე		არქიტექტურის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
11	თინათინ ხიმშიაშვილი		"ლანშაფტური არქიტექტურის" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	
12	ლია სირაძე		"არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის" სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალი	
13	მაკა ბერიძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის რექტორი	V-VI
14	ნინო მილაშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
15	ლელა წითაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
16	რევაზ ჭილაძე		სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის ერთობლივი	

			სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	
17	თამარ გარდაფხაძე	შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნი	რექტორი	VII
18	ნათია გოგოლაური		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
19	ქეთევან კვიციანიძე		ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსი	
20	ნონა ახალაშვილი		ფსიქოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	საკითხი
1	შალვა კირკველია	I
2	ნინო ხაბეიშვილი	II-III
3	თამარ გვიანიშვილი	II-III
4	ელენე გავაშელიშვილი	IV
5	გიორგი რამიშვილი	V-VI
6	ლენა ადამსონი	VII
7	მაია მაჭავარიანი - წერეთელი	VII
9	ანი ქვათაძე	VII
11	ნანი არაბული	VIII

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების

პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგი შედეგების განხილვა;

4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ლანდშაპტური არქიტექტურის სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგი შედეგების განხილვა;

5. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კომუნიკაცია და მედიატექნოლოგიები)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასტრონომიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

7. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასტრონომიის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

8. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

• კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ანა ჯუღელმა, შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის საკითხი აკრედიტაციის საბჭოს განეხილა ბოლო საკითხად ვინაიდან, ექსპერტი ვერ ახერხებდა განსაზღვრულ დროზე ჩართვას. საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგი შედეგების განხილვა;

3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ლანდშაპტური არქიტექტურის სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგი შედეგების განხილვა;

4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კომუნიკაცია და მედიატექნოლოგიები)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასტრონომიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასტრონომიის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
7. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
8. შპს საქართველოს უნივერსიტეტის “კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2022 წლის 29 ნოემბრის №1517379 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 - ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0171, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა N77ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში იყო მტკიცებულებების პრობლემა. მისი თქმით, რეკომენდებული იყო სწავლის შედეგების აქცენტირება ინჟინერიაზე. დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ შეასრულა. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა „MATLAB“-ის (Matrix Laboratory) გამოყენებას, რომელიც არ არის შესრულებული. ვიზიტის დროს არცერთ კომპიუტერზე არ იყო დაყენებული აღნიშნული პროგრამა. ექსპერტებმა მოითხოვეს სტუდენტების ნაშრომები ამის თაობაზე, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა ამოცანები, რომლებიც სტუდენტის ნაშრომის შესრულებას ვერ ადასტურებდა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ „MATLAB“-ს და „MURADIO“-ს აქვს უფასო პროგრამული ვერსიები, რომელიც იმას არ ნიშნავს, რომ დაწესებულებამ სწავლების დროს უნდა გამოიყენოს. მან აღნიშნა, რომ რეკომენდებული იყო თანამედროვე აპარატურის შეძენა დამატებითი ლაბორატორიებისთვის. დაწესებულებამ ამის თაობაზე წარმოადგინა ინვოისები. ინვოისები არ ადასტურებს თანამედროვე აპარატურის შეძენას დამატებითი ლაბორატორიებისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტს უნდა წარმოედგინა ან მიღება-ჩაბარების, ან შესყიდვის აქტები, რომლებიც დაადასტურება ინფრასტრუქტურის შეძენას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პროგრამის ხელმძღვანელი, ირაკლი ნოსელიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამა შეიქმნა ABET - ის აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. უნივერსიტეტი მომავალში გეგმავს ABET - ის აკრედიტაციის მიღებას. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ABET არის ზოგადი სტანდარტი და უმჯობესია მოხდეს კონკრეტიზაცია, რომელიც მიმართული იქნება ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის მიმართ. ირაკლი ნოსელიძის თქმით, ექსპერტთა ასეთმა შეფასებამ გამოიწვია კიდევ ერთი დამატებითი სწავლის შედეგის გაჩენა. შესაბამისად, ამიტომ გაჩნდა „ნგ“ სწავლის შედეგში. ის საგნები, რომლებიც პროგრამაში არის წარმოდგენილი, შესაბამის ცოდნას და უნარებს მისცემს კურსდამთავრებულს ამ ტექნოლოგიის მიმართულებით. „MATLAB“-ის და „OCTAVIA“-ს პროგრამების შექმნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ დამაჯერებელი პასუხი გასცა მოცემული პროგრამების არშემქმნასთან მიმართებით. შესაბამისად, ეს აღარ უნდა წარმოადგენდეს დავის საგანს. მისი თქმით, დაწყებითი საგანი „პრეკალკულუსი“ ემსახურება სტუდენტების მათემატიკის ცოდნის დონის ამაღლებას. სტუდენტი, რომელიც ამ კურსის ფარგლებში თეორიას ისწავლის, მას პრაქტიკაში გამოიყენებს „MATLAB“-ის ან „OCTAVIA“-ს პროგრამების დახმარებით. მაგალითად, როდესაც სტუდენტი კვადრატული ფუნქციის გრაფიკს ისწავლის, მან შემდეგ უნდა შეძლოს აღნიშნულ პროგრამებში ამ გრაფიკის აგება. მან აღნიშნა, რომ „MATLAB“-ის ოფიციალურად შესყიდული პროგრამა ყველა კომპიუტერში არ არის ჩაწერილი იმიტომ, რომ ამ პროგრამის სტუდენტური და თავისუფალი ვერსია არსებობს და სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ ლეპტოპში ან პერსონალურ კომპიუტერში გადმოწეროს და გამოიყენოს სწავლებისათვის. ექსპერტების შენიშვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არის არარელევანტური. ირაკლი ნოსელიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს კარგი ექსპერიმენტული და ლაბორატორიული აღჭურვილობა. უნივერსიტეტს ყოველთვის შეუძლია საუნივერსიტეტო და ლაბორატორიული მეცადინეობების ცხრილი გაწეროს ისე, რომ არ მოხდეს დიდი რაოდენობის სტუდენტის ჯგუფების გადაფარვა. ის აპარატურა, რომელიც დაწესებულებას გააჩნია საკმარისია საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად. უნივერსიტეტმა არა მარტო ინვოისები, არამედ ფოტომასალაც გაუზიარა ექსპერტებს თანამედროვე აპარატურის შექმნის. „National Instrument“-თან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს ერთი ხელსაწყო ლაბორატორიაში რეზერვის სახით. შესაბამისად, ამაზე მეტი ხელსაწყო არსებობა პროგრამაზე არ არის საჭირო.

პროგრამის ხელმძღვანელმა, კახაბერ თავზარაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილია „ინფორმაციისა და კომუნიკაციების ინსტიტუტი“, რომლის ხელმძღვანელია ნოდარ უღრელიძე. ამ ინსტიტუტის ფარგლებში მიმდინარეობს აქტიური კვლევები. შესაბამისად, დაწესებულებაში არსებული ლაბორატორიები, რომლებიც დაქვემდებარებულია ამ ინსტიტუტთან, შესაბამისობაშია აკრედიტაციის მოთხოვნებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის დროს საერთოდ არ იყო საუბარი ექსპერტთა მიერ შემუშავებულ დასკვნაში ცხრილის განაწილებასა და საათებთან დაკავშირებით. მისი თქმით, როდესაც პროგრამა კეთდება, დაწესებულების ამოცანა არის ის, რომ მომავალში პროგრამა იყოს მდგრადი. პროგრამების მდგრადობის საკითხი საქართველოს უნივერსიტეტმა არაერთხელ დაამტკიცა. უნივერსიტეტი ემზადება ABET - ის და ASIIN ამ პროგრამასთან მიმართებით, რათა დაწესებულებამ წარმატებით გაიაროს გარე აკრედიტაცია. „ნგ“ კავშირის ტექნოლოგიური ოპერაციების საკითხს ისედაც სწავლობს სტუდენტი არა ცალკე საგნის, არამედ ჩაშლილი კურსების დონეზე. ეს ინფორმაცია ექსპერტებმა იცოდნენ. მან განაცხადა, რომ დაწესებულება „MATLAB“-ს იყენებს არა ცალკე ტექნიკის სახით, არამედ ინსტრუმენტის სახით, რომელიც არ არის სავალდებულო საგნებით გათვალისწინებული. შესაბამისად, ამ ეტაპზე არ დგას „MATLAB“-ის შექმნის საჭიროება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, „MATLAB“-ის და „OCTAVIA“-ს პროგრამების დემო ვერსიებით გავა თუ არა სტუდენტი სწავლის შედეგზე. ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია არ იყო ის, რომ ძვირადღირებული ლიცენზირებული „MATLAB“-ის პროგრამა ჰქონოდა დაწესებულებას. მისი თქმით, არცერთ კომპიუტერზე არ იყო დაყენებული აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც სტუდენტს სწავლის შედეგზე გაიყვანდა. დაწესებულებამ ვერ დაადასტურა „MATLAB“-ის პროგრამის გამოყენების ფაქტი. მას უნდა წარმოედგინა სტუდენტის ლაბორატორიული ნაშრომი ან ჩატარებული ექსპერიმენტი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ „6G“-ის კონკრეტულ პრობლემების მიმართულების ცოდნაზე აღნიშნული პროგრამა სტუდენტს შედეგზე ვერ გაიყვანს. მისთვის გაურკვეველია როგორ გაჩნდა აღნიშნული სწავლის შედეგი და რომელ სილაბუსშია მოცემული. პროგრამის ხელმძღვანელმა, ირაკლი ნოსელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაზე სწავლობს ორი სტუდენტი. დაწესებულებამ ნიმუშის სახით მიაწოდა ექსპერტებს სტუდენტის ნაშრომი, თუმცა მასზე სახელი და გვარი არ იყო მითითებული სტუდენტის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით. დაწესებულება „MATLAB“-ს იყენებს სწავლების ერთ-ერთ მეთოდად და ამ პროგრამის გამოყენებით სტუდენტი არ გადის სწავლის შედეგზე. ეს არის ძლიერი საინჟინრო პროგრამული უზრუნველყოფა. უნივერსიტეტი მას იყენებს მათემატიკური კომპეტენციების გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, „MATLAB“-ის „Online“ ვერსიების გამოყენება საკმარისია მათემატიკური კომპეტენციების გასაუმჯობესებლად.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, აკრედიტაციის საბჭოს სხდომის შემდეგ პროგრამის შედეგში გაჩნდა ახალი ჩანაწერი, რომელიც ეხებოდა „6G“ კავშირის ტექნიკური ოპერაციების საკითხს. მას აინტერესებდა, აღნიშნული სწავლის შედეგის დამატება რომელი სასწავლო კურსებით არის გარანტირებული. პროგრამის ხელმძღვანელმა, კახაბერ თავზარაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული სწავლის შედეგის დამატება გარანტირებულია „მათემატიკის“, „ხელოვნური ინტელექტის“, „ციფრული კომუნიკაციის“, „მოდელირების პროგრამული ინსტრუმენტებისა“ და „საკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ სასწავლო კურსებით.

ქეთევან ქუთათელაძეს აინტერესებდა, გეგმავს თუ არა დაწესებულება „MATLAB“-ის პროგრამის ჩართვას სხვა ტექნიკური და საინჟინრო საკითხების გადაწყვეტისას. კახაბერ თავზარაშვილმა აღნიშნა, რომ „MATLAB“-ის პროგრამას კვლევების დასამუშავებლად აქტიურად იყენებენ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სტუდენტები. შესაბამისად, უნივერსიტეტი ცდილობს სტუდენტი მიაჩვიოს ისეთ საჭირო ინსტრუმენტზე მუშაობას, როგორც „MATLAB“-ია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:31

დასრულების დრო: 16:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁶ მუხლის 2¹¹ პუნქტის

საფუძველზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვროს არაუმეტეს 60 კალენდარული დღე, ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსასწორებლად.

განსაზღვრული რეკომენდაციები:

- სწავლება–სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო საგანთან და აისახოს სილაბუსის თემატიკაში.
- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიაში და საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიაში განთავსებულა აპარატურა საკმარისია მხოლოდ 2-3 სტუდენტის მისაღებად. აუცილებელია არსებული აპარატურის დამატებითი ეგზემპლარების შეძენა.
- აუცილებელია საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიაში განთავსებული აპარატურის (National instruments) კომპიუტერიზაცია და პროგრამული უზრუნველყოფა (Labview).

2. მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგი შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№315, 08/09/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	გამოცდა უცხო ენაში (B2 დონე). სპეციალობაში მაგისტრანტობის კანდიდატების უნარების შეფასება ხდება წარმოადგენილი პორტფოლიოთი და თანდართული დოკუმენტებით (CV, მოტივაციის წერილი, დახასიათება)
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურაში ფერის და განათების დიზაინის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება / Architecture and Town Planning
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	132
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის 22, თბილისი, 0108, საქართველო 22 ძმები ზუბალაშვილების ქუჩა, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

3. მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ლანდშაპტური არქიტექტურის სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგი შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ლანდშაფტური არქიტექტურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№319, 08/09/2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	გამოცდა უცხო ენაში (BII დონე). სპეციალობაში მაგისტრანტობის კანდიდატების უნარების შეფასება ხდება წარმოადგენილი პორტფოლიოთი და თანდართული დოკუმენტებით

		(CV, მოტივაციის წერილი, დახასიათება)
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ლანდშაფტური არქიტექტურის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება / Architecture and Town Planning
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	129
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის 22, თბილისი, 0108, საქართველო 22 ძმები ზუბალაშვილების ქუჩა, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს ნინო ლაღანიძემ და მარინა მაისურაძემ.

საბჭო დატოვა ქეთევან ზურაშვილი.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე და მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ნინო ხაბეიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ პროცესი განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. ორივე პროგრამასთან მიმართებაში პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტის 4.1 ქვესტანდარტი შეფასდა სრულად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მისი თქმით, პროგრამების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები. ფერისა და განათების დიზაინის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა სწავლის შედეგების გადახედვას, სასწავლო კურსების სილაბუსებში დაშვების წინაპირობების, მიზნებისა და სწავლის შედეგების დაზუსტებას. მან აღნიშნა, რომ იყო ისეთი შემთხვევა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული დასახელებები ზოგიერთ შემთხვევაში არ ემთხვეოდა კურიკულუმში მოცემულ საგნის დასახელებებს. რეკომენდაცია იყო პროგრამის კურიკულუმში და სილაბუსებში სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებით არსებული ჩანაწერის დაკორექტირებასთან დაკავშირებით. ამრიგად, პირველი სტანდარტი არის მეტწილად, ხოლო მეორე და მეოთხე სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მისი თქმით, ლანდშაფტური არქიტექტურის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა სწავლის შედეგების ფორმულირებას. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში სწავლის შედეგი იყო რამდენიმე შედეგის შემცველი. შესაბამისად, საჭიროა მათი გადახედვა და დალაგება საკუთარ კატეგორიებში. რეკომენდებული იყო პროგრამის სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რაც გულისხმობს ერთ-ერთი არჩევითი სასწავლო კურსის გადასვლას სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში. გარდა ამისა, საჭიროა სწავლის შედეგების გადახედვა, სასწავლო კურსების სილაბუსებში დაშვების წინაპირობების, მიზნებისა და სწავლის შედეგების დაზუსტება. ასევე რეკომენდაცია გაიცა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიმართულებით. ამრიგად, პირველი და მეოთხე მეტწილად, ხოლო მეორე სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულება იზიარებს პროგრამების მიმართ გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, რეკომენდაციებისა და რჩევების ერთი ნაწილი შესრულებულია, ხოლო მეორე ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, დაწესებულებას აქვს თუ არა დამატებითი აქტივობები გათვალისწინებული კვლევითი უნარების განვითარებისათვის გარდა სამაგისტრო პროექტისა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს შენიშვნა უნივერსიტეტმა კლასტერული აკრედიტაციის დროსაც მიიღო. აღნიშნული პროგრამები იძლევა იმის საშუალებას, რომ კვლევითი კომპონენტი უფრო გაძლიერდეს და სტუდენტი მხოლოდ სამაგისტრო პროექტზე არ იყოს ორიენტირებული. შესაბამისად, დაწესებულება ამ საკითხზე მუშაობს და ახლო მომავალში გამოასწორებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:14

დასრულების დრო: 16:18

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „არქიტექტურაში ფერისა და განათების დიზაინის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობებისა და დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდეს 60 კალენდარული დღის ვადაში.

განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა, მათი ფორმულირების შეცვლა ან დალაგება კატეგორიების შესაბამისად.
- რეკომენდებულია, პროგრამის „სწავლის შედეგების“ რუკაში მიეთითოს პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსი და მათი როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება).
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის დაკორექტირდეს/დაზუსტდეს კურსზე „დაშვების წინაპირობები“.
- რეკომენდებულია ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის სასწავლო კურსის შინაარსზე დაყრდნობით მოხდეს სილაბუსებში მითითებული მიზნის განსაზღვრა.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის კურსის შინაარსზე დაყრდნობით მოხდეს სწავლის შედეგების ფორმულირება, რათა სწავლის შედეგები გახდეს მკაფიო, რეალისტური და გაზომვადი, ასევე გამოირიცხოს სხვადასხვა სასწავლო კურსებში მისაღწევი შედეგების დუბლირება.
- რეკომენდებულია გადაიხედოს და ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის კურიკულუმში ყველა ადგილას მითითებული სასწავლო კურსების დასახელებები.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „მასალათმცოდნეობა“ სწავლის შედეგები დაკორექტირდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის ჭრილში.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის განახლება.
- რეკომენდებულია რიგ შემთხვევაში არასწორად მითითებული შეფასების სისტემა მოვიდეს სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილთან (შეფასება (D) -

ნაცვლად „საშუალო“ მიეთითოს „დამაკმაყოფილებელი“; შეფასება (E) - ნაცვლად „დამაკმაყოფილებელი“ მიეთითოს „საკმარისი“, შეფასება FX) - ნაცვლად „არადამაკმაყოფილებელი“ მიეთითოს „ვერ ჩააბარა“).

- რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის კურიკულუმში და სილაბუსებში არსებული ჩანაწერები - უარყოფითი (FX) შეფასების შემთხვევაში „ხელახლა გამოცდაზე“ გასვლის უფლების ნაცვლად მიეთითოს, რომ სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება.
- რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში და „ფერი და განათება არქიტექტურულ დიზაინში“ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში“ მკაფიოდ მიეთითოს შეფასების სისტემა, მათ შორის დადებითი და უარყოფითი შეფასებები, მათი ქულობრივი მაჩვენებლები და წესი, რომლებიც მოქმედებს თითოეული უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში;
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის (პროექტის) შეფასებისთვის განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიეთითოს მისი გავლენა დასკვნითი შეფასების მიღებაზე.

რჩევები

- მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში, „სწავლის შედეგების შეფასებაში“ მკაფიოდ ჩაიწეროს, რომ მითითებული „პროექტი“ წარმოადგენს „სამაგისტრო ნაშრომს“.
- მიზანშეწონილია სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში გამოირიცხოს მისი განსხვავებული დასახელებების (მაგ., პროექტი, პროექტირება, სამაგისტრო პროექტი, სადიპლომო ნაშრომი) გამოყენება. ასევე, დასაკორექტირებელია პროგრამის კურიკულუმში და „ფერი და განათება არქიტექტურულ დიზაინში“ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში არსებული ჩანაწერები „დიპლომანტი“, „დიპლომის დაცვა“.
- მიზანშეწონილია კურიკულუმში გასწორდეს გამოვლენილი უზუსტობები - პროგრამის კურიკულუმში „პროგრამის შემადგენლობაში“ (გვ. 6) კრედიტების რაოდენობრივი მაჩვენებელი (ვერტიკალში), რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში არ ემთხვევა რეალურ მონაცემებს (მაგ. „პროფესიულ-პრაქტიკულ დისციპლინათა ციკლი“-ს I სემესტრში მოცემულია 17 ნაცვლად 15-ისა; „პროფესიულ-ტექნიკურ დისციპლინათა ციკლი“-ს II სემესტრში მოცემულია 7 ნაცვლად 4-ისა). ასევე „პროგრამის მოცულობა“-ში მოცემული ჩანაწერი „პირველი წელიწადი 66 ECTS, მეორე წელიწადი - 66 ECTS“ - რადგან პროგრამის შემადგენლობის მიხედვით პირველი წელიწადი მოიცავს 68 ECTS, მეორე კი - 64 ECTS კრედიტს.
- პროგრამის კურიკულუმში პირველივე გვერდზე მითითებულია, რომ პროგრამა „დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი N4, 18.05.12“, რაც არ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ თუ როდის მოხდა პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცება. ამასთან დაკავშირებით სასურველია არსებული ჩანაწერი დაკორექტირდეს და მიეთითოს მოდიფიცირებული პროგრამის დამტკიცების აქტის ნომერი და თარიღი.
- მიზანშეწონილია არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში ზუსტად მიეთითოს სასწავლო კურსის ტიპი და კრედიტის რაოდენობა.
- მიზანშეწონილია გასწორდეს პროგრამის კურიკულუმში („პროგრამაზე დაშვების წინაპირობა“) არსებული ტერმინოლოგიური შეუსაბამობები და პროგრამის საფეხურის გათვალისწინებით „აბიტურიენტების“ ნაცვლად მიეთითოს „მაგისტრანტობის კანდიდატები“ და „ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის“ ნაცვლად მიეთითოს „საერთო სამაგისტრო გამოცდა“.
- მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში (კურიკულუმში) მიეთითოს კონკრეტულად რომელი უცხოური ენის ფლობაა მოთხოვნილი B2 დონეზე;

- თუ დაწესებულება უშვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე და მობილობით პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შესაძლებლობას, მაშინ სასურველია აღნიშნული იყოს მითითებული პროგრამის კურიკულუმში.
- შპს „ერდო“-სთან გაფორმებულ მემორანდუმში პირველი აბზაცის ბოლოს შპს „ერდო“-ს ნაცვლად წერია „ნიკოლო და ვაჟები“. სასურველია ამ უზუსტობის დაკორექტირება.
- მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში მკაფიოდ მიეთითოს შუალედური შეფასების სხვადასხვა რაოდენობებზე მათი რიცხობრივი მაჩვენებლების გადანაწილების პრინციპი.
- მიზანშეწონილია გაუქმდეს კურიკულუმში და სილაბუსებში მითითებული „დასწრება“ როგორც შეფასების მეთოდი, და მისი ქულა გადანაწილდეს შუალედური შეფასებების სხვა კომპონენტებზე, რადგან „დასწრება“ ვერ იქნება გამოყენებული როგორც შეფასების მეთოდი ანუ „საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება“.
- მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში ან სილაბუსებში დაემატოს ჩანაწერი დამატებითი გამოცდის დანიშვნის ვადებთან დაკავშირებით.
- მიზანშეწონილია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სილაბუსებში არსებული ჩანაწერი დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობის შესახებ.
- მიზანშეწონილია გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
- ზოგიერთ შემთხვევაში CV-ის მიხედვით არ დასტურდება პირის თანამშრომლობა დაწესებულებასთან (მაგ. ეკა ჭაბაშვილი, გია ჩაჩუა, დავით ბუტიკაშვილი, ლია ჩხიკვიშვილი, შოთა გლურჯიძე). ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ლანდშაპტური არქიტექტურის“ სამაგისტრო პროგრამაზე 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ლანდშაპტური არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობებისა და დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდეს 60 კალენდარული დღის ვადაში.

განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები

- პროგრამის პირველი, მე-2, მე-3, მე-6 და ა.შ. სწავლის შედეგები მოიცავს რამდენიმე შედეგს, ამასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა.
- ზოგიერთ შემთხვევაში სწავლის შედეგი ან მისი ნაწილი თავისი ფორმულირებით მიეკუთვნება სხვა კატეგორიას, ნაცვლად მითითებულისა (მაგ. მე-9 სწავლის შედეგი პირველი წინადადება „იცის გუნდური მუშაობა“ მიეკუთვნება კატეგორიას „ცოდნა და გაცნობიერება“ ნაცვლად „უნარი“-სა, მე-12 სწავლის შედეგი მიეკუთვნება კატეგორიას „ცოდნა და გაცნობიერება“ ნაცვლად „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ და ა.შ.). ამასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირების შეცვლა ან დალაგება კატეგორიების შესაბამისად.
- პროგრამის სწავლების მე-10 შედეგში არსებული ჩანაწერი „ფლობს ... პროფესიულ კომპიუტერულ პროგრამებს და ფართოდ იყენებს მათ კვლევის, პრაქტიკული მუშაობისა და კომუნიკაციის პროცესში“ არ დასტურდება პროგრამის შინაარსით (კომპიუტერული პროგრამების მომცველი ერთადერთი კურსი „ვიზუალური კომუნიკაციები“ არჩევითია), შესაბამისად რეკომენდებულია ამ შედეგის დაკორექტირება.
- რეკომენდებულია, პროგრამის „სწავლის შედეგების“ რუკაში მიეთითოს პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე ყველა სასწავლო კურსი და მათი როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება).
- რეკომენდებულია მიეთითოს მხოლოდ შეფასების ის მეთოდ(ებ)ი, რომლებიც რეალურად იქნება გამოყენებული შედეგის მიღწევის შეფასებისთვის (დადასტურებისათვის).
- რეკომენდებულია სასწავლო კურსი „პარკებისა და რეკრეაციული ტერიტორიების საინჟინრო მოწყობა“ არჩევითი დისციპლინათა ციკლიდან გადატანილ იქნას პროფესიულ-თეორიულ დისციპლინათა ციკლში.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის დაკორექტირდეს/დაზუსტდეს კურსზე „დაშვების წინაპირობები“.
- რეკომენდებულია ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის სასწავლო კურსის შინაარსზე დაყრდნობით მოხდეს სილაბუსებში მითითებული მიზნის განსაზღვრა.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის კურსის შინაარსზე დაყრდნობით მოხდეს სწავლის შედეგების ფორმულირება, რათა სწავლის შედეგები გახდეს მკაფიო, რეალისტური და გაზომვადი, ასევე გამოირიცხოს სხვადასხვა სასწავლო კურსებში მისაღწევი შედეგების დუბლირება.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსების დანართები და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის მოხდეს თემების გაწერა კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისად.
- რეკომენდებულია გადაიხედოს და ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში და პროგრამის კურიკულუმში სხვადასხვა რუბრიკებში მითითებული სასწავლო კურსების დასახელებები.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის განახლება. რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის კურიკულუმში და სილაბუსებში არსებული ჩანაწერები - უარყოფითი (FX) შეფასების შემთხვევაში „ხელახლა გამოცდაზე“ გასვლის უფლების ნაცვლად მიეთითოს, რომ სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება.
- რეკომენდებულია პროგრამის კურიკულუმში და „ლანდშაფტური არქიტექტურის სამაგისტრო ნაშრომის (ლანდშაფტური არქიტექტურული პროექტის) დაცვის წესში“

მკაფიოდ მიეთითოს შეფასების სისტემა, მათ შორის დადებითი და უარყოფითი შეფასებები, მათი ქულობ რივი მაჩვენებლები და წესი, რომლებიც მოქმედებს თითოეული უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის (პროექტის) შეფასებისთვის განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიეთითოს მისი გავლენა დასკვნითი შეფასების მიღებაზე.
- რეკომენდებულია გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

რჩევები

- მიზანშეწონილია სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში გამოირიცხოს მისი განსხვავებული დასახელების (მაგ., სამაგისტრო პროექტი, სადიპლომო ნაშრომი) გამოყენება. ასევე, დასაკორექტირებელია პროგრამის კურიკულუმში და „ლანდშაფტური არქიტექტურის სამაგისტრო ნაშრომის (ლანდშაფტურ არქიტექტურული პროექტის) დაცვის წესში“ არსებული ჩანაწერები „დიპლომანტი“, „დიპლომის დაცვა“.
- მიზანშეწონილია დაკორექტირდეს პროგრამის კურიკულუმში არსებული ჩანაწერი პროგრამის დამტკიცების აქტის (აკადემიური საბჭოს ოქმი #4, 18.05.12) შესახებ და მიეთითოს მოდიფიცირებული პროგრამის დამტკიცების აქტის ნომერი და თარიღი.
- მიზანშეწონილია არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსებში ზუსტად მიეთითოს სასწავლო კურსის ტიპი და სწავლების სემესტრი.
- მიზანშეწონილია გასწორდეს პროგრამის კურიკულუმში („პროგრამაზე დაშვების წინაპირობა“) არსებული ტერმინოლოგიური შეუსაბამობები და პროგრამის საფეხურის გათვალისწინებით „აბიტურიენტების“ ნაცვლად მიეთითოს „მაგისტრანტობის კანდიდატები“ და „ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის“ ნაცვლად მიეთითოს „საერთო სამაგისტრო გამოცდა“.
- მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში (კურიკულუმში) მიეთითოს კონკრეტულად რომელი უცხოური ენის ფლობაა მოთხოვნილია B2 დონეზე.
- თუ დაწესებულება უშვებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე და მობილობით პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შესაძლებლობას, მაშინ სასურველია აღნიშნული იყოს მითითებული პროგრამის კურიკულუმში.
- მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში მკაფიოდ მიეთითოს შუალედური შეფასების სხვადასხვა რაოდენობებზე მათი რიცხოვრივი მაჩვენებლების გადანაწილების პრინციპი.
- მიზანშეწონილია გაუქმდეს კურიკულუმში და სილაბუსებში მითითებული „დასწრება“ როგორც შეფასების მეთოდი, და მისი ქულა გადანაწილდეს შუალედური შეფასებების სხვა კომპონენტებზე, რადგან „დასწრება“ ვერ იქნება გამოყენებული როგორც შეფასების მეთოდი ანუ „საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება“.
- მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში ან სილაბუსებში დაემატოს ჩანაწერი დამატებითი გამოცდის დანიშვნის ვადებთან დაკავშირებით.
- მიზანშეწონილია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს სილაბუსებში არსებული ჩანაწერი დასკვნით გამოცდაზე დაშვების პირობის შესახებ.
- პერსონალის პირადი მონაცემების შესწავლისას გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში პერსონალის CV გასაახლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში კი CV-ის მიხედვით არ დასტურდება პირის თანამშრომლობა დაწესებულებასთან. ასევე არ არის წარმოდგენილი

ერთი პირის კალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგება.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კომუნიკაცია და მედიატექნოლოგიები)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურის კვლევები (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	01.11.2022 №1385350
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	კულტურის კვლევების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50 - სასწავლო კომპონენტი
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის 22, თბილისი, 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

--	--	--

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ლალანიძემ და მარინა მაისურაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი სრულად, ხოლო მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის მოთხოვნებთან. მისი თქმით, პროგრამის მიმართ გაიცა 4 რეკომენდაცია. დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია და რჩევა შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია და რჩევა გაითვალისწინა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:24

დასრულების დრო: 16:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კომუნიკაცია და მედიატექნოლოგიები)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო

აკადემიის "კულტურის კვლევების (თანამედროვე ვიზუალური კომუნიკაცია და მედიატექნოლოგიები)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასტრონომიის“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ასტრონომია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 2. სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N1385347, 01.11.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 ფიზიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ახალციხე 0800, რუსთაველის ქ. №122. უნივერსიტეტის II კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

--	--

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასტრონომიის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ასტრონომია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 2. სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N1385348, 01/11/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 ფიზიკა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 122, უნივერსიტეტის II კორპუსი. საქართველო 0800

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
----	--	--

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს შემოუერთდა თინათინ ჭაბუკიანი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

მეხუთე და მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა. მისი თქმით, პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სრულად, ხოლო მეექვსე რჩევა ნაწილობრივ არის გათვალისწინებული. შინაარსობრივად ორივე პროგრამა იდენტურია, განსხვავება მხოლოდ ენაშია კერძოდ, ერთი ქართულენოვანი, ხოლო მეორე ინგლისურენოვანი პროგრამაა. მან აღნიშნა, რომ არ შეიძლება დაბალრეიტინგული სტატიების გამოყენება სტუდენტის შეფასების დროს იმიტომ, რომ სტუდენტი ვერ იღებს რეალურ ფასეულობას, ე.ი. რეალურ ცოდნას დარგში. შესაბამისად, რეკომენდებულია მაღალრეიტინგული სტატიების გამოყენება სტუდენტის შეფასების დროს. მისი თქმით, უნივერსიტეტმა წარმოადგინა 8 დოქტორანტის შეფასება, რომელთაგან ორი არ იძებნება სიაში. დაწესებულება თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, რომ შეიძინა ტექნიკა კერძოდ, კომპიუტერები, თუმცა რა სახის და რა მონაცემების არ არის მითითებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, რევაზ ჭილაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მაღლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები განმავითარებელი ხასიათის იყო. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ როდესაც დოქტორანტი ამზადებს ნაშრომს, ის ითვალისწინებს მაღალრეიტინგულ ნაშრომებს. შესაბამისად, ამ მიმართულებით პრობლემა არ დგას. მისი თქმით, დაწესებულებამ 30 კომპიუტერი შეიძინა, რომელთა ოპერატიული მეხსიერება არის 32GB. ის კომპიუტერები, რომლებიც აქამდე დაწესებულებაში იყო, გაუმჯობესდა და საგანმანათლებლო პროცესი უხარვეზოდ მიმდინარეობს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:37

დასრულების დრო: 16:39

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასტრონომიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასტრონომიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასტრონომიის“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასტრონომიის“ ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

7. მეშვიდე საკითხი: შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის	-

	საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გიორგი ჭყონდიდელის ქ.N56, თბილისი 0180 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს შემოუერთდა ქეთევან ზურაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, ლენა ადამსონი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუნის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას სჭირდება მუშაობა განვითარებისათვის. მისი თქმით, პროგრამის შეფასებისას იყო ისეთი განცდა, რომ დაწესებულებას სურს მალწიოს ბევრ რამეს ერთდროულად და არა არის პროგრამაზე ფოკუსირებული, რომელიც ნაკლებად ფარავს სხვადასხვა ქვედისციპლინებს, რომლებიც ფსიქოლოგიაში შედის. საერთაშორისო ექსპერტმა, ლენა ადამსონმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დეტალურად დაწესებულების

არგუმენტირებულ პოზიციას, რომელთა დაკავშირებითაც დასკვნაში მოცემულია დეტალურად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების ხელმძღვანელი თამარ გარდაფხაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ხუთი სტანდარტიდან სამი შეფასდა სრული, ხოლო ორი ნაწილობრივ შესაბამისობით. არგუმენტირებულ პასუხში დაწესებულებას ნათლად აქვს აღნიშნული ის ფაქტი, რომ პირველ და მეოთხე სტანდარტში იყო ფაქტობრივი უზუსტობა კერძოდ, პროგრამის პირველი მიზანი ანუ აღნიშნულია, თუმცა დასკვნაში ეს ფაქტი არ არის აღნიშნული.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნათია გოგოლაურმა განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაცია პირდაპირ კავშირშია პროგრამის მეორე დანართთან. რეკომენდებულია გადაწყდეს თუ რამდენი მიზანი, სამი ან ოთხი უნდა ჰქონდეს პროგრამას და უფრო მკაფიოდ აღიწეროს ისინი ცოდნის უნარებისა და კომპეტენციების თვალსაზრისით. აღნიშნული რეკომენდაციის აღწერილობით ნაწილში ვკითხულობთ შემდეგს: „პროგრამის აღწერასა და დანართში წარმოდგენილია პროგრამის ოთხი მიზანი, მიზანი ორი და სამი იგივეა, ამიტომ პროგრამას ფაქტობრივად აქვს სამი მიზანი.“ იგივე ჩანაწერია 1.2 პროგრამის სწავლის შედეგებში, სადაც ექსპერტები აღნიშნავენ შემდეგს: „პროგრამის სამი (ოთხი) მიზანი იყოფა პროგრამის სწავლის ათ შედეგად, რომლებიც არ არის დაჯგუფებული ცოდნის გაცნობიერების მიხედვით. პროგრამის სწავლის შედეგები დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან, მაგრამ აქ მიზანი ოთხი, რომელიც მანამდე არ არის წარმოდგენილი, მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგებით ცხრა და ათი.“

ნათია გოგოლაურმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა უგულებელყოფა მოახდინეს და არ განიხილეს მიზანი ერთი პროგრამის. ამაზე მეტყველებს დასკვნაში მოცემული მათი ჩანაწერი, რომელიც არის პერიფრაზი მიზანი ორისა. გარდა ამისა, ის რეკომენდაციები, რომლებიც ექსპერტებმა გასცეს, პირველ მიზნად პროგრამის მეორე მიზანს განიხილავენ. შემდეგ აკეთებენ მეორე და მესამე მიზნის გამეორებას და მოჰყავთ მეოთხე ნომრით დაწესებულების მიერ შემუშავებული მიზანი. შესაბამისად, არც დასკვნის პროექტში და არც საბოლოო დასკვნაში არ ჩანს პირველი მიზანი. მისი თქმით, ოთხი ლოგიკურად ჩამოყალიბებული და გამიჯნული მიზანი პროგრამას ჰქონდა და დღესაც აქვს, რომელშიც დაწესებულებას არანაირი ცვლილება არ შეუტანია. თუ დაინტერესებული პირი გაეცნობა ოთხივე მიზანს დარწმუნება, რომ ისინი ერთმანეთს არ ფარავს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მცდარ მსჯელობაზე დაყრდნობით პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით გაიცა ორი რეკომენდაცია. მისი თქმით, თუ გადაიხედება დაწესებულების მიერ შემუშავებული სწავლების რუკა, ცხრა და ათი მიზანი პირდაპირ უკავშირდება მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეთათე შედეგს. დაწესებულების მიერ შემუშავებული სწავლების რუკის მიხედვით მეორე მიზანთან დაკავშირებულია მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სწავლის შედეგი. ეს უკანასკნელი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა „ემპირიული კვლევის მეთოდები“ და „ფსიქოდიანოსტიკური ტესტები“. პირველი მიზანი, რომელიც ექსპერტებმა უგულებელყვეს, დაკავშირებულია პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სწავლის შედეგთან. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების ხელახალი ფორმულირება უფრო მოკლე და მკაფიო ფორმატში. აღნიშნული რეკომენდაციის აღწერილობითი ნაწილის დამთავრებისას წერია შემდეგი: „მთლიანობაში მიზნებიც და სწავლის შედეგებიც ზედმეტად მკაფიოა, რომ ერთმანეთის შესაბამისად ადვილად შეფასდეს“. ნათია გოგოლაურის თქმით, ექსპერტთა აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია. გარდა ამისა, მას აინტერესებდა, რას გულისხმობდნენ ექსპერტები „ზედმეტად მკაფიოში“. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს საკითხი ვიზიტის დროს არ ყოფილა განხილული. დაწესებულება არ არის არცერთი ისეთი რეკომენდაციის წინააღმდეგი, რომელიც პროგრამის მიმართ განმავითარებელ ხასიათს ატარებს. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია

ნამდვილად არ წარმოადგენს პროგრამის განმავითარებელ რეკომენდაციას. თუ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები დარჩება ძალაში, დაწესებულებისთვის რთული იქნება შემდგომი ქმედების განხორციელება მათ შესასრულებლად.

თამარ გარდაფხაძე განაცხადა, რომ ექსპერტები აღნიშნავენ შემდეგს: „ვერ ვხვდებით ემპირიულ მეთოდებს და ფსიქოდიაგნოსტიკურ ტესტებს“. მისი თქმით, ექსპერტები ვერ ნახავდნენ პროგრამაში ემპირიულ მეთოდებს და ფსიქოდიაგნოსტიკურ ტესტებს იმიტომ, რომ მეორე მიზანი უკავშირდება 2.5 კომპონენტს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ექსპერტების მიერ პირველი მიზანი იგნორირებულია, ხოლო მეორე და მესამე ერთი და იგივე შინაარსისაა. თუ ეს ტექნიკური ხარვეზია, ექსპერტები ვალდებული არიან გამოასწორონ. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ექსპერტებმა აფილირებული პროფესორი შეცვალეს არააფილირებულის სახით. დაწესებულება ვერ ხედავს პრობლემას იმაში, რომ ლექცია როგორც აფილირებულმა, ისე არააფილირებულმა პროფესორმა წაიკითხოს. გაურკვეველია რატომ დადგა ეს საკითხი ექსპერტების მიერ ექვქვემ. პროგრამას 31 აკადემიური პერსონალიდან ჰყავს 11 დარგის სპეციალისტი კერძოდ, აფილირებული პროფესორი. რეკომენდებული იყო სამეცნიერო ხარისხის მქონე სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა.

თამარ გარდაფხაძემ აღნიშნა, რომ 31 აკადემიური პერსონალიდან 21 სამეცნიერო ხარისხის მქონე პერსონალია. შესაბამისად, გაუგებარია რას გულისხმობენ ექსპერტები „რაოდენობის გაზრდაში“. ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ შემდეგს: „აფილირებული პერსონალის მცირე რაოდენობა, რომელსაც აქვთ ფსიქოლოგიის კვალიფიკაცია, პროგრამის განმახორციელებლების მთავარ პასუხისმგებლობას აკისრებს არააფილირებულ აკადემიურ პერსონალს.“ მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მსგავსი ციტირება ანგარიშსა და პროგრამაში არ არსებობს. გარდა ამისა ისინი აღნიშნავენ შემდეგს: „გამოყენებითი ქცევის ანალიზი, რომელსაც კითხულობს თერაპევტი, არ უდასტურდება კვალიფიკაცია.“ თამარ გარდაფხაძეს თქმით, პროგრამაში საერთოდ არ არსებობს „გამოყენებითი ქცევის ანალიზის“ სასწავლო კურსი. ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 2023 წელს დამტკიცებული და დღეს არსებული ბიუჯეტი გათვლილია 100 სტუდენტზე. შესაბამისად, დაწესებულებას არ მიაჩნია სწორად, რომ 4 წლიანი ბიუჯეტი შემუშავდეს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტს აქვს ერთწლიანი ბიუჯეტი, რაც საკმარისი არ არის პროგრამის განსახორციელებლად. მისი თქმით, პროგრამას აქვს არა ერთწლიანი ბიუჯეტი, არამედ 100 სტუდენტზე გათვლილი ბიუჯეტი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნონა ახალაშვილმა საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას საბაკალავრო ნაშრომი აქვს არჩევით კომპონენტად, თუმცა ექსპერტების კითხვა იყო შემდეგში: „თუ საბაკალავრო ნაშრომი იქნება არჩევით კომპონენტად, როგორ მოახერხებს დაწესებულება კვლევითი უნარების დადასტურებას?“. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, კვლევითი უნარების დადასტურება მოხდება „კვლევის მეთოდებით“, „ფსიქოლოგიური ტესტირებითა და შეფასებით, „სოციალური სტატისტიკით“, „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიით“, „კვლევის სტატისტიკური მეთოდებით“, „ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებითა“ და „ფსიქოლოგიური სამსახური სკოლაში“. მისი თქმით, საერთაშორისო ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა „კოგნიტურ ფსიქოლოგიაზე“ და აღნიშნა, რომ ლ.ს. არ უნდა ასწავლიდეს აღნიშნულ საგანს. დაწესებულება მოცემულ რეკომენდაციას არ იზიარებს იმიტომ, რომ ლ.ს. არ არის დამწყები ფსიქოლოგი და მას აქვს დიდი გამოცდილება ფსიქოლოგიის სფეროში, კერძოდ „კოგნიტური ფსიქოლოგიის“ მიმართულებით. ის ასწავლის არაერთ უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელში და აქვს დოქტორის ხარისხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, მეხუთე პროგრამის სწავლის შედეგი აქცენტირებულია ემპირიული კვლევის მეთოდებზე და „SPSS“-ის მეთოდოლოგიის გამოყენებაზე.

ინფორმაციული ტექნოლოგიების საგანი სავალდებულოა და 5 კრედიტიანია, რომელიც ისწავლება პირველ სემესტრში. გარდა ამისა, მას არ აქვს პრერეკვიზიტი. აღნიშნული სასწავლო კურსი სწავლობს: „Word-ის“ „Windows“-ის, „Internet“-ის, „Excell“-ისა და „PowerPoint“-ის პროგრამებს. მას აინტერესებდა, რამდენად ემპირიულ კვლევებზეა გამსვლელი „Word“-ის „Excell“-ის და „Internet“-ის შემსწავლელი კურსი სახელწოდებით - „ინფორმაციული ტექნოლოგიები“.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნონა ახალაშვილმა აღნიშნა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიები არის შესავალი სასწავლო კურსი, რომელიც სავალდებულო ხასიათისაა. ემპირიულ კვლევებზე გადის სასწავლო კურსი „სოციალური სტატისტიკა“ და „კვლევის სტატისტიკური მეთოდები“. ნებისმიერი კვლევა ფსიქოლოგიაში იქნება ვალიდური თუ ის არ დამუშავდება სტატისტიკურად, მათემატიკურად და ა.შ.

ნათია გოგოლაურმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს მეთოდოლოგია სწავლის შედეგების შეფასებისა და შემუშავების, რომელშიც აკრედიტაციის სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სასწავლო კურსები, რომლებიც ატარებს გაცნობით ხასიათს. ამის შემდეგ ხდება ცოდნის გაღრმავება გარკვეული სასწავლო კურსებით, რომლებიც სტუდენტს გაიყვანს შედეგზე. სწავლების რუკაზე სხვადასხვა ფერით არის წარმოდგენილი სასწავლო კურსები.

ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ მეექვსე სწავლის შედეგი ეხება კვლევითი პრაქტიკული ხასიათის ექსპერიმენტებში დამწყების დონეზე გამოკვლევების განხორციელებას. მას აინტერესებდა, „უცხო ენა 1“, „უცხო ენა 2“, „უცხო ენა 3“ და „უცხო ენა 4“ რამდენად გადის კვლევითი ხასიათის ექსპერიმენტებში დამწყებ დონეზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნათია გოგოლაურმა განაცხადა, რომ სწავლის შედეგების შემუშავებაში დაწესებულებას ჩართული ჰყავდა პერსონალი. უცხო ენის ცოდნა თავის მხრივ ამ ტიპის საქმიანობაში სტუდენტს დიდი დახმარებას გაუწევს. ეს კურსები არ არის სწავლის შედეგის შესაფასებლად წარმოდგენილი კურსები. ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანს აინტერესებდა, რამდენად გადის „ფილოსოფიის საფუძვლების“ სავალდებულო კურსი მეორე და მეოთხე სწავლის შედეგზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნონა ახალაშვილმა აღნიშნა, რომ ფსიქოლოგია ჩაისახა ფილოსოფიის, ხოლო ვითარდებოდა ფილოსოფიის წიაღში. მისი თქმით, 1879 წლიდან ვილჰელმ ვუნდტის მიერ ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შექმნის შედეგად გამოეყო და დაიწყო თავისი განვითარება. სტუდენტები სავალდებულო კურსის სახით სწავლობენ „ფსიქოლოგიის ისტორიას“, რომელიც სწავლობს დიდი ფილოსოფოსების შესახებ ყოფა - ცხოვრებას, რომლებმაც დიდ წვლილი შეიტანეს ფსიქოლოგიის როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების განვითარებაში. შესაბამისად, ფილოსოფია და ფსიქოლოგია ერთმანეთთან კავშირშია.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ შემდეგს: „საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულო არ არის და ამის შედეგად სტუდენტებს არ ექნებათ ის უნარები და შესაძლებლობები, რომლებიც აუცილებელია მცირე კვლევითი პროექტის განხორციელებისათვის.“ მას აინტერესებდა, ექსპერტთა ასეთი ჩანაწერის შედეგად, რატომ არ გაიცა რეკომენდაცია საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულო კომპონენტის განსაზღვრასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, რატომ არ აისახა ამ საკითხზე მსჯელობა 1.4 ქვესტანდარტში, სადაც საუბარია პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საბაკალავრო ნაშრომისათვის განკუთვნილი 10 კრედიტი არ არის საკმარისი. მას აინტერესებდა, ექსპერტთა ასეთი ჩანაწერის შედეგად, რატომ არ გაიცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია ან რჩევა.

გურანდა ჭელიძემ განაცხადა, რომ 1.5 ქვესტანდარტში არ არის სასწავლო კურსების მიზნებისა და შედეგების შესაბამისობასთან დაკავშირებით რეკომენდაცია ან რჩევა გაცემული. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი. გარდა ამისა, თუ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია

არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, მათ მიერ შედგენილი სასწავლო კურსები აკმაყოფილებს თუ არა ყველა მოთხოვნას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის მიერ შეიძლება სასწავლო კურსები კარგად იყოს შედგენილი, თუმცა მისი კვალიფიკაცია არ იყოს შესაბამისი დადგენილ მოთხოვნებთან. მისი თქმით, ექსპერტების მიერ საბოლოო დასკვნაში იყო არა „გამოიყენებით ქცევითი ანალიზის“ კურსზე საუბარი, არამედ ერთ-ერთი კურსის ხელმძღვანელის კავლიფიკაციაზე, რომელსაც უნდა წაეკითხა „ბავშვის განვითარების დარღვევები“. აღნიშნული ხელმძღვანელის კვალიფიკაცია იყო თერაპევტი. მას სილაბუსი კარგად აქვს შედგენილი, თუმცა ეს არ ნიშნავს ლექციის ჩატარების შესაძლებლობის მიცემას. დაწესებულებამ არასწორი ინტერპრეტაცია გააკეთა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. აკადემიური პერსონალიდან, ფსიქოლოგიის დოქტორის ხარისხი და რაიმე ტიპის კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელობის გამოცდილება აქვს ძალიან ცოტას. მან განაცხადა, რომ „კოგნიტური ფსიქოლოგია“ საქართველოს და საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში იკითხება ერთნაირად და რაიმე განსხვავებული ფორმატი აღნიშნული კურსის წაკითხვის არ არსებობს.

ექსპერტმა, ანი ქვათაძემ განაცხადა, რომ საბაკალავრო ნაშრომი არ არის სავალდებულო ხასიათის კომპონენტი პროგრამაში. უნივერსიტეტს აქვს იმის უფლება, რომ თავად განსაზღვროს პროგრამის სტრუქტურა და საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულო ან არასავალდებულო ხასიათი. შესაბამისად, ექსპერტები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვერ გასცემდნენ რეკომენდაციას.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, პროგრამის მიზანთან დაკავშირებული დასმული კითხვები, რომლებიც გამომდინარეობს პროგრამასთან მიმართებაში, არის თუ არა წინააღმდეგობრივი 2.2 ქვესტანდარტთან. გარდა ამისა, პროგრამის მიზნების დაკონკრეტება და რაოდენობების მითითება რეკომენდაციაში რამდენად რელევანტურია. ერმილე მესხიას თქმით, ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების ხელახალი ფორმულირება უფრო მოკლე და მკაფიო ფორმატში“. მას აინტერესებდა, რატომ არის დასკვნაში კერძოდ, აღწერილობით ნაწილში აღნიშნული ჩანაწერი ზედმეტად მკაფიო. გარდა ამისა, რამდენად ადეკვატურია აღწერითი შეფასება ბიუჯეტთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან - „ნაწილობრივ შესაბამისობა“. ერმილე მესხიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, დაწესებულების მიერ შედგენილი მეხუთე დანართი აზუსტებს აკადემიური პერსონალის რაოდენობას, სტატუსს და იმ სასწავლო კურსებს, რომლებსაც ისინი კითხულობენ. ორი ძირითადი კურსი მითითებულია მეხუთე დანართში, რომელსაც კითხულობს ორი აფილირებული პროფესორი, ხოლო არჩევით კურსებს სამი პროფესორი და ერთი ასისტენტ პროფესორი. მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტურია ის ფაქტი, რომ ორ ძირითად კურსს კითხულობდეს ორი აფილირებული პროფესორი, ხოლო რვა არჩევით კურსს 4 პროფესორი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ გარდაფხაძემ აღნიშნა, რომ აფილირებულ პროფესორებთან ერთად სასწავლო კურსებს კითხულობენ არააფილირებული და დაწესებულების აკადემიური პერსონალი. შესაბამისად, 31 პროფესორიდან 21 აკადემიური პერსონალია, რა თქმა უნდა, მოწვეული პერსონალის გარეშე. 21 აკადემიური პერსონალიდან 11 ფსიქოლოგიის ხარისხის მქონე აფილირებული პროფესორია, ხოლო დანარჩენი მოწვეული პერსონალი. პროგრამის მდგრადობა დამოკიდებულია აფილირებულ და არააფილირებულ პერსონალზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნონა ახალაშვილმა განაცხადა, რომ ორი აფილირებული პროფესორი კითხულობს ისეთ სპეციფიკურ საგნებს, როგორებიცაა „ცენტრალური ნერვული სისტემის ანატომია“ და „ფიზიოლოგია“, „ნეიროფსიქოლოგია“ და „ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები“.

თამარ გარდაფხაძე ხაზი გაუსვა იმას, რომ თ.გ. არის არა სოციოლოგიის დოქტორი, არამედ ფსიქოლოგიის მაგისტრი, რომელსაც ადასტურებს დაწესებულების მიერ გაგზავნილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:28

დასრულების დრო: 18:57

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამდიბლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება კერძოდ, 1.1 და 1.2 ქვეკომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო 1.5 ქვეკომპონენტი ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია მთლიანად პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“. აგრეთვე, 4.5 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია მთლიანად მეოთხე სტანდარტის ცვლილება და განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის (31/12/2028) ვადით 2 წლისთავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ¹“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის (31/12/2028) ვადით 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაწყდეს თუ რამდენი მიზანი უნდა ჰქონდეს პროგრამას და უფრო მკაფიოდ აღიწეროს ისინი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების თვალსაზრისით.
- რეკომენდებულია პროგრამის განვითარება ისე, რომ იგი უფრო მკაფიოდ შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისია 3-ს.
- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების ხელახალი ფორმულირება უფრო მოკლე, უფრო მკაფიო ფორმატში.
- რეკომენდებულია რუკების განახლება.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები და მათი სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან.
- რეკომენდებულია ფსიქოლოგის კვალიფიკაციის მქონე აკადემიური აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.
- რეკომენდებულია დოქტორის შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის მქონე სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა.
- რეკომენდებულია პროფესიული კურსების წამყვანი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენციები და კვალიფიკაცია მეტ შესაბამისობაში იყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.
- ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელმძღვანელოების რამოდენიმე ეგზემპლარი, სავალდებულო კურსებისთვის მაინც.
- რეკომენდებულია სამუშაო/ სასწავლო აქტივობებისთვის დამატებითი ადგილების და სტუდენტებისთვის დასასვენებელი დარბაზების გამოყოფა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ სტუდენტების რაოდენობა გაიზრდება.
- სასწავლო პროგრამის განხორციელების ბიუჯეტი უნდა იყოს შემუშავებული და მოიცავდეს მინიმუმ სრულ ციკლს 1-4 წლამდე.
- რეკომენდებულია, შიდა ხარისხის მართვის მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება პროგრამასთან მიმართებით, რეკომენდაციების შესრულებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა ჩართოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროგრამის სწავლის შედეგების, პროგრამის სტრუქტურისა და ა.შ. შემუშავების პროცესში. პროგრამის შემუშავებელ/ განმახორციელებელ პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლობა უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამის გარანტიას.

რჩევები:

- სწავლის შედეგების წერისას დაიწყეთ შემდეგნაირად: „პროგრამის/ კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტმა უნდა და მოქმედების ზმნა...“ და არ შემოიტანოთ ძალიან ბევრი კომპეტენცია თითოეულ სწავლის შედეგში.
- გადახედეთ, შეუძლია თუ არა პროგრამას შესთავაზოს სტუდენტებს უფრო მკაფიო სასწავლო გზები ისე, რომ იგი მაინც მოქნილი დარჩეს სტუდენტებისთვის.
- უფრო მეტად გაამახვილეთ პროგრამის ყურადღება კურსებზე, და არა ფსიქოლოგიის ყველაზე გავრცელებულ ქვედისციპლინებზე.
- განიხილეთ, ნაშრომი სავალდებულო უნდა იყოს თუ არა.
- დაწერეთ კვლევის თვისებრივი მეთოდები.

- მიეცით სტუდენტებს პორტალზე დისტანციური წვდომის შესაძლებლობა.
- შეუწყვეთ ხელი აკადემიურ პერსონალს ჩაერთოს საერთაშორისო პროგრამებში აკადემიური მობილობისა და გამოცდილების გაცვლის მიზნით.
- უზრუნველყავით პროგრამის გარე შეფასება საერთაშორისო შემფასებლების მიერ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლად შემუშავებული ფსიქოლოგიის პროგრამისთვის, რომლის სფეროც ახალია უნივერსიტეტისთვის.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა შექმნას მსგავს პროგრამებთან უფრო ზუსტი შედარებითი ანალიზი. ეს ნიშნავს, რომ ანალიზმა სისტემატურად უნდა წარმოადგინოს და შეადაროს მნიშვნელოვანი ინფორმაცია პროგრამის მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამის სამომავლო განვითარების შესახებ.

8. მერვე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№1493559, 22/11/2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 - ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0171, ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქუჩა N77ა
15		-

<p>მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება</p>	
--	--

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანმა.

საბჭო დატოვა ნინო ლაღანიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტი, ნანა არაბული მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი შესრულებულია. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგებში კომპიუტერულ ინჟინერიაზე აქცენტირების გაკეთებას, დაწესებულების მიერ შესრულებულია, თუმცა კარგი იქნება თუ ეს ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე იქნება განთავსებული. მან აღნიშნა, რომ სილაბუსების უმეტესობაში საერთოდ არ არის გაწერილი 123 საათის ათვისება სტუდენტის მიერ. უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსებში ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები და სიმულატორზე მუშაობა, რომლებიც მოითხოვს გარკვეულ დროს. მაგალითად, „ანალოგურ ელექტრონიკაში“ საერთოდ არ არის მითითებული პრაქტიკული მეცადინეობები, თუმცა დამოუკიდებელი მუშაობის საათი 123 საათია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროგრამის მიმართ გაიცა რეკომენდაცია, თუმცა უნივერსიტეტმა არ გაითვალისწინა. რეკომენდებული იყო ლაბორატორიული მეცადინეობების თემატურად ჩაშლა გარკვეულ საგნებში, რომელიც დაწესებულებამ ნაწილობრივ შეასრულა. მხოლოდ ლექციის საკითხებზე ხდება ლაბორატორიული სამუშაოს შესრულება.

ნანა არაბულის თქმით, დაწესებულება აღნიშნავს, რომ 25 მემორანდუმი აქვს გაფორმებული სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ახლაც მიმდინარეობს მათთან მუშაობა სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკის ობიექტებზე. შესაბამისად, ამ

მიმართულებით დაწესებულებამ ნაწილობრივ შეასრულა რეკომენდაცია. რეკომენდებული იყო საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიაში განთავსებული აპარატურის - national infrastructure“ პროგრამული უზრუნველყოფა და აღჭურვა “national infrastructure“ მინიმუმ 5 სამუშაო კომპლექტით. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებამ მოცემული რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებლად არანაირი მტკიცებულება არ წარმოადგინა. ექსპერტებმა გამოითხოვეს ფოტომასალა აპარატურის შესყიდვის შესახებ, თუმცა მოწოდებული დოკუმენტებით ვერ დადგინდა national infrastructure“ მინიმუმ 5 სამუშაო კომპლექტის შესყიდვა. შესაბამისად, მოცემული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ არ არის შესრულებული. ნანა არაბულის თქმით, რეკომენდებული იყო „წრედთა თეორიის“ ლაბორატორიის მინიმუმ 5 სამუშაო კომპლექტით აღჭურვა. უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ „წრედთა თეორიის“ სასწავლო კურსი არის თეორიული საგანი და არ მოითხოვს ლაბორატორიას. ეს რეკომენდაცია გაიცა პროგრამისა და აღნიშნული კურსის მიზნებისა და შედეგების მიღწევიდან გამომდინარე. შესაბამისად, აუცილებელია „წრედთა თეორიის“ ჰქონდეს პრაქტიკული დატვირთვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, კახაბერ თავზარაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას და ეტაპობრივად აისახება უნივერსიტეტის ვებგვერდზე განხორციელებული ცვლილებები. მისი თქმით, უნივერსიტეტი მეორე რეკომენდაციას იზიარებს. დამოუკიდებელ საათებში იგულისხმება სტუდენტის მომზადება ქვიზისთვის და გამოცდისთვის. იმ სილაბუსზე, რომელზეც ექსპერტები საუბრობენ, დაემატება დამოუკიდებელი საათების აღწერა განმარტებისთვის. გარდა ამისა, აღნიშნულ სილაბუსში გაწერილი იქნება ის დავალებები, რომლებსაც გამოიყენებს სტუდენტი ქვიზებისთვის, შუალედური და ფინალური გამოცდებისთვის. კახაბერ თავზარაშვილმა მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ფიზიკის საგნებში ლაბორატორიები გაწერილია კურსის აღწერილობით ნაწილში და არა კვირების მიხედვით იმიტომ, რომ თითოეულ კვირას სტუდენტი სხვადასხვა ლაბორატორიულ სამუშაოს ასრულებს. შესაბამისად, ლაბორატორიული სამუშაოები ფიზიკის სილაბუსებში არის აღწერილი მხოლოდ კურსის აღწერილობით ნაწილში. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს საკმარისი რაოდენობის მემორანდუმები პრაქტიკის განსახორციელებლად, თუმცა მომავალში დაემატება სხვა მემორანდუმებიც. მეხუთე რეკომენდაციასთან კერძოდ, “national infrastructure“ პროგრამულ უზრუნველყოფასთან მიმართებით განაცხადა, რომ არსებული ინსტრუმენტი არ არის კონკრეტული რომელიმე სილაბუსის ან საკითხის აუცილებელი კომპონენტი. დაწესებულებას შეძენილი აქვს ეს ხელსაწყო, რომელიც ემსახურება საბაკალავრო პროექტის ან საკონფერენციო ნაშრომის შესასრულებლად. შესაბამისად, “national infrastructure“ მინიმუმ 5 სამუშაო კომპლექტის შესყიდვის საჭიროება არ დგას. მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „წრედთა თეორიის“ კურსი წარმოადგენს თეორიულ სასწავლო კურსს და სასემინარო მუშაობა შეიძლება მხოლოდ თეორიული კუთხით. ის უნარები, რომლებიც საჭიროა პროგრამის მიზნების მისაღწევად, სხვა სილაბუსებში არის გაწერილი. შესაბამისად, ამ კონკრეტულ კურსს არ სჭირდება ლაბორატორიული სამუშაო.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა დამოუკიდებელ სამუშაო საათებთან მიმართებით განაცხადა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა დისკუსია ექსპერტებთან იმიტომ, რომ არსებობს ბევრი მიდგომა დამოუკიდებელი სამუშაო საათების შეფასების. მისი თქმით, დამოუკიდებელი საათის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბევრი დაკონკრეტება მას არ სჭირდება. არსებობს ამერიკული უნივერსიტეტები, რომლებიც საკონტაქტო საათებს აღიარებენ, ხოლო

დამოუკიდებელს არა. შესაძლებელია დამოუკიდებელი საათების ჩაშლა იმ მოცულობით, რომ გამოჩნდეს რასთან შეიძლება დაკავშირებული იყოს ისინი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, „ანალოგური ელექტრონიკის“ სასწავლო კურსის მიზანში მოცემულია შემდეგი: „პროექტირების პრინციპების ცოდნა განუვითაროს მარტივი ელექტრონული წრედების შექმნის უნარები.“ აღნიშნული კურსის სწავლის შედეგებში წერია შემდეგი: „სტუდენტს უნდა შეეძლოს წრედის მაკეტის შექმნა, მისი გამართული ფუნქციონირების და ხარვეზების დადგენა, მარტივი მრავალსაფეხურიანი გამამლიერებლების პროექტირება და ა.შ.“ მისი თქმით, „ანალოგური ელექტრონიკის“ სასწავლო კურსში მითითებულია ლექცია და სემინარი, ხოლო სწავლების მეთოდებში ლაბორატორიული მეცადინეობა. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი. ქეთევან ქუთათელაძემ განაცხადა, რომ შუალედური გამოცდის შემდეგ არის ორი კვირა განკუთვნილი ლექციისთვის. მეცამეტე კვირა არის შემაჯამებელი, მეთოთხმეტე მოსამზადებელი, დაბოლოს დასკვნითი გამოცდა. მას აინტერესებდა, რატომ არ აქვს აღნიშნულ სასწავლო კურსს ლაბორატორია და როგორ ახერხებს სტუდენტი სწავლის შედეგსა და მიზანზე გასვლას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ თუ მეთოდი არის ლაბორატორიული, ეს არ ნიშნავს მის ხანგრძლივობას. დაწესებულებამ შეიძლება საათობრივ განაწილებაში ლექციის გარდა ლაბორატორიული სამუშაოც შეიყვანოს, რომელსაც სხვა დატვირთვა აქვს. გარდა ამისა, შესაძლებელია ლაბორატორიული სამუშაო გამოიყენოს როგორც მეთოდად, რომელიც იქნება ლექციის შემადგენელი ნაწილი, თუმცა ეს არ ნიშნავს კლასიკურ ლაბორატორიაში მუშაობას. შესაბამისად, „ანალოგური ელექტრონიკის“ სწავლების დროს შეიძლება გამოყენებული იყოს გარკვეული პრაქტიკული კომპონენტები, რომლებიც შეიძლება ითვალისწინებდეს ლაბორატორიულ და სხვა პრაქტიკულ სამუშაოებს.

სხდომაზე გამოცხადდა საათობრიო შესვენება

დაწყების დრო: 19:22

დასრულების დრო: 19:27

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^ბ მუხლის 2¹¹ პუნქტის საფუძველზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვროს არაუმეტეს 60 კალენდარული დღე, ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსასწორებლად.


განსაზღვრული რეკომენდაციები :

- სილაბუსებში დასაბუთდეს დამოუკიდებელი მუშაობის საათების შესაბამისობა სტუდენტთა რეალურ დატვირთვასთან მაგ. დაემატოს დავალებები, პრეზენტაციები და სხვა.

- სასწავლო კურსებში: „დაპროგრამების საფუძვლები (C++)“, „კომპიუტერის არქიტექტურა“, „კომპიუტერის სტრუქტურული ორგანიზაცია“, „მიკროკონტროლერების დაპროგრამების ტექნოლოგიები“, „ფიზიკა I“, „ფიზიკა II“, “წრედთა თეორია I”, “დაპროგრამების ენა Python” და სხვა, აისახოს შესაბამისი ლაბორატორიული მეცადინეობის თემატიკა;
- რეკომენდირებულია პრაქტიკის ობიექტებთან აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაფორმდეს ხელშეკრულებები/მემორანდუმები და ითვალისწინებდეს პრაქტიკის მიზანს, სტუდენტების რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას. პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურად გაიწეროს რა შემთხვევაში ჩაეთვლება დასაქმებისას შესრულებული სამუშაო სტუდენტს პრაქტიკულ კომპონენტში.
- აუცილებელია საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორიაში განთავსებული აპარატურის (National instruments) კომპიუტერიზაცია და პროგრამული უზრუნველყოფა (Labview). ასევე აღიჭურვოს National instruments–ის მინიმუმ ხუთი სამუშაო კომპლექტით.
- წრედთა თეორიის ლაბორატორია აღიჭურვოს მინიმუმ ხუთი სამუშაო კომპლექტით.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:28 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი